

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით

## საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების დანართი #-6

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესი

1. საქართველოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი წარმოადგენს ონლაინ აპლიკაციას (აპლიკაცია ივსება ვებ-გვერდზე: [www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge)) ან მოთხოვნილ დოკუმენტაციას წარმოადგენს მატერიალურ მატარებელზე.
2. ონლაინ აპლიკაციის/მატერიალურ მატარებელზე დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 7 სამუშაო დღის ვადაში აპლიკანტი მიიღებს წერილს ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.
3. ონლაინ აპლიკაციის საშუალებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს დასკანერებული, PDF ფორმატში.
4. ონლაინ აპლიკაციისას ან მატერიალურ მატარებელზე დოკუმენტაციის წარმოდგენისას აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისათვის

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტებისათვის

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულ ებაში ჩაირიცხნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საქართველოში მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში „უმაღლესი

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნოემბრის №46-14 ოქმით

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვას.

#### სტუდენტებისათვის

- მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

უნივერსიტეტის დირექტორ(ებ)ის მიერ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი წერილობითი თანხმობასთან ერთად ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბერის №224/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

#### 5. აპლიკაციის საფასური

5.1 აპლიკაციის საფასური შეადგენს 100 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საფასური მოიცავს დოკუმენტაციის ქართულ ენაზე თარგმნას და ნოტარიულ დამოწმებას, ამასთანავე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომსახურების საფასურს.

5.2 აპლიკაციის საფასურისგან თავისუფლდება პირი, რომელიც თავად უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებს.

5.3 აპლიკაციის საფასური აპლიკანტს არ უზრუნველდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### 6. სავიზო პროცედურები

აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი სავიზო პროცედურებს წარმართავს დამოუკიდებლად. უნივერსიტეტი, საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი სავიზო პროცედურების შესახებ შესაბამისი კონსულტაციებით უზრუნველყოფს აპლიკანტს.

7. საკითხები, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე წესით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

#### აპლიკაციის მიღების ვადები:

შემოდგომის სემესტრი	აპლიკანტი, რომელიც საჭიროებს ვიზას - 16 ივნისი, 2014
	აპლიკანტი, რომელიც არ საჭიროებს ვიზას -7ივლისი, 2014
გაზაფხულის სემესტრი	აპლიკანტი, რომელიც საჭიროებს ვიზას - 6 ოქტომბერი, 2014
	აპლიკანტი, რომელიც არ საჭიროებს ვიზას -24 ნოემბერი, 2014

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 ნომბრის №46-14 ოქმით